სახალხო გაზეთი

№ 743 ოთხშაბათი, 7 ნოემბერი 1912 წ. № 743

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებული განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დასაბეჭდავ პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე ყოველ-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ რეფდება; ავტორის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. ბირადად მოსვლა პარასკევს შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. „ დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

კანტორისაგან

1912 წ. პრემია **„ბრდემლის" მისაღებად** უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეეწახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 — წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 **გიორგობისთვიდან** წლის დამლევამდე ღირს 1 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „ბრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**
დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნი მაღაზიაში იყიდება ახალი გამოცემა ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა

„გრდემლი"

სალიტერატურო კრებული **წიგნი მეორე**

შინაარსი: **ვ. ბარნოვი** ფარჩის ახალუხი, **ა. შანშიაშვილი**—მედია და ელენე, **ფიარალო**—მამელუკი, **ს. აბაშელი**—ლექსები, **ჯ. ჯორჯიკია**—ქალი, რომელსაც თავისი სახე არ უნდა ენახა, **ევდოშვილი**—ლექსი, **ა. პაპავა**—ქალის ცრემლები, **ი. გრიშაშვილი**—ლექსები, **ნ. ლორთქიფანიძე**—მრისხანე ბატონი, **კიკნა-ფშაველა**—ლექსი, **ჭ. უმბაძე**—ზღვის ქალი, **მ. უზნაძე**—ლექსი, **ეკ. გაბაშვილი** ფრთე დაგლეჯილი, **გ. ტაბიძე**—ლექსი, **დუტუ მეგრელი**—პატარა სოფოს სიკვდილი, **კ. აბაშისპირელი**—ლექსი, **ნ. ნაკაშიძე**—ვინ არის დამნაშავე **ფასი 1 მ. 50 კ.**

წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. საწყობი იმყოფება გ. ს. რცხილაძის ბინაზე, ოლგის ქუჩის შესახვევში, სახლში № 5. 1561.

ტფილისის ქმერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძველნიეშის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილები.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**დავიდიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე) 11½—12½
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა

ვაჩნაძე, რომელიც თავის მიერ გამოგონილ ოფლის გამქრობ ჩულქებისა და თვითმოძრავ სავარძლის დასამზადებელ ქარხნების მოწყობას შეუდგება, საამისო შემდგარ ამხანაგობის დახმარებით.

✦ **მეფის მოადგილეს სასახლეს** ბაღით და სხვა შენობებით ქალაქის გამგეობამ წელიწადში 13,470 მან. 70 კ. **გადასახადი** დაადო.

✦ **მარტყოფის მონასტრის** წინამძღვარი ბერ-მონაზონი გერმანი **ქვაბთახევის მონასტრის** წინამძღვრად დაინიშნა, ხოლო ქვაბთახევის მონასტრის წინამძღოლი არქიმანდრიტი გერასიმე იოანნე ნათლის მცემლის მონასტრის ძმათა შტატში ჩაირიცხა.

✦ ხვალ, 8 ნოემბერს, ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის დღესასწაულია. ამის გამო ამ ეკლესიაში მწირველი იქნება გორის ეპისკოპოსი ანტონი.

✦ **ქართულმა საფილარმონიო საზოგადოებამ** იმ გუნდის ლოტბარად, რომელიც ქვაშვეთის ეკლესიაში ჭგალობს ხოლმე, **ზაქ. ჩხიკვაძე** მიიწვია.

✦ **ქალაქის შრომის ბირჟაში** წარსულ ოქტომბრის განმავლობაში სამუშაოს საშოვნელად მისულა 328 უსაქმური. ამათში 168 კაცი ყოფილა, ხოლო 160 ქალი. ეროვნებით ასე განაწილდებიან: რუსი—194, ქართველი—49, ოსი—34, სომეხი—32 და სხვა-და-სხვა ეროვნებისა—19. სამუშაო უშოვნია 257 კაცს.

✦ **საბოტანიკო ბაღში** ამ ჟამად ტფ. საბოტანიკო ბაღში გაჩაღებული მუშაობაა: აფართოვებენ ბაღს, აგებენ სხვა და სხვა შენობას, გაჰყავთ ახალი გზები, მილის წყალი და სხვა.

✦ ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართოს, ოჩამჩირეში საზოგადოების განყოფილება დაარსოს.

✦ ფარულად დაკლული ხბო აღმოაჩინეს ტფ. კრუფოკის ბუფეტში, რომლის პატრონსაც, ალექსანდრე მათიაშვილს, ოქმი შეუდგინეს და სამართალში აძლევენ.

✦ ტფილისში უკვალოდ დაიკარგნენ გიორგი ულანოვი და რუბენ არუთინას-ძე ბადალოვი.

✦ 5 ნოემბერს ღფილისში 44 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **სომხურ საქველმოქმედო საზოგადოების საჭომ** კრება ამ დღეებში მოხდა ექიმ ნავასარდიანის თავმჯდომარეობით. საბჭოს მსჯელობა იქონია ექიმ ხუდადოვის სახელობის თავშესაფარში მოთავსებულ ობოლ ქალთა შესახებ. გამოითქვა ის აზრი, რომ ეს ობოლნი აღზრდილ იქმნენ ისე, რომ თავშესაფარიდან გამოსვლის შემდეგ შეეძლოთ აღმზრდელობა, ბებიობა, მასწავლებლობა და სხვა. საბოლოოდ ამ საკითხის განხილვა და ცალკე მოხსენების შედგენა საბჭომ მცირე კომისიას მიანდო.

ფოთი

✦ რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების მთავარ გამგეობას გადაუწყვეტია, სამსახურში ქართველები აღარ მიიღონ და ვინც არიან, ისინიც არ დააწინაურონ. აზრადა აქვთ ამის გამო მიჰმართონ დეპუტატს გელოვანს.

ქალაქის საგზო.

ორშაბათს, 5 ნოემბერს, მოხდა ქალაქის საბჭოს კრება, ქალაქის მოურავ ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. განიხილეს ორი საყურადღებო საკითხი: 1) 1913 წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის განმარტებით. საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. ბევრი ხმოსანი უსაყვედურებდა კომისიას, რომ მუდამ გვიანდება ხოლმე ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და დამტკიცება.

ხატისოვი. ხშირად ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა თებერვალსა და მარტს მიატანს ხოლმე, ისე გვიანდება. ამიტომ კომისიამ დროზე უნდა დაასრულოს საქმე.

კომისიის თავმჯდომარე ბ. ფიშერი. საფინანსო კომისია კვირაში ორჯერ იკრიბება და რაც ძალი და ღონე აქვს მუშაობს. ჯერ-ჯერობით განიხილა ნახევარზე მეტი მუხლი ხარჯთ-აღრიცხვისა და წინადადებას აძლევს საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვის შემოსავლიდან გამორიცხოს 14,000 მანეთი, ხარჯიდან კი 80,000 მან.

თავმჯდომარემ და საბჭოს ზოგიერთმა წევრებმა გამოსთქვეს სურვილი რომ ხარჯთ-აღრიცხვა საბჭოს განსახილველად წარმოადგინოს ნოემბრის ბოლოს.

შემდეგ განიხილეს გეგმა ინსტრუქციისა სარევიზიო კომისიისათვის. საბჭომ გამორიცხა ინსტრუქციის ზოგიერთი მუხლები, ზოგიც ხელახლად შეიმუშავა და ბოლოს დაამტკიცა.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ხუნუკმა განაცხადა, რომ კომისიის წევრები თანამდებობას თავს ანებებენო, მაგრამ ეს საკითხი როგორღაც ჩაფუჩჩეს.

ხმოსნები თან და თან გაიკრიფნენ და დარბაზში სულ 25 წევრი დარჩა.

ა. ი. ხატისოვმა სთხოვა ხმოსნებს არ დაიშალნენ, რადგანაც ერთი ფრიად საყურადღებო საკითხია გადასაწყვეტიო; ეს საკითხი აღმოჩნდა: ქალაქის გამგეობის მოხსენება კუკიის საქალაქო სასწავლებელთან ოსურ სკოლის გახსნის თაობაზე.

ხმოსანმა ტილმა განაცხადა, რომ საჭიროდ არა სცნობს ოსურ სკოლის გახსნას, რადგან ოსები მუდამ ქართულად სწავლობდნენო.

ა. ხატისოვი და სხვანი საჭიროდა სცნობენ ოსურ სკოლის გახსნას თუ კი რომელიმე უბანში ოსების ბავშვების საკმაო რიცხვი შეგროვდება.

საბჭომ დაადგინა გახსნას ოსური სკოლა.

ყაჩაღის მოკვლა.

2 ნოემბერს, გათენებისას, დღეშეთის სამაზრო პოლიციამ ალყა შემოარტყა სოფ. ჭილურტში გრიგოლ ფარესოვის სახლს, სადაც ამ დროს ქეიფობდა ცნობილი ყაჩაღი ბაგრატ ლომიძე სახლის პატრონის ძმას და ამავე სოფლის მცხოვრებ ცქიმანაურთან ერთად, როგორცვე გაიგო პოლიციის მოსვლა, ლომიძემ სახლის კარები გამოაღო და პირველისვე ტყვიით იქვე მოჰკლა ჩაფარი გიორგი შერმადინი. ამის შემდეგ გამოვარდა სახლიდან და დაიყვირა: „ფრთხილად იყავით, ბაგრატა მოდის“ო. ამის შემდეგ ორჯელ კიდევ გაისროლა თოფი და ერთი ჩაფარი-ინგუში და დუშეთის მაზრის უფროსის მცველი ჰასანი დასჭრა. ყაჩაღი 50 საჟენზე არც კი იყო გაქცეული, რომ ჩაფრების მიერ ნასროლმა ტყვიამ სასიკვდილოდ დასჭრა.

ყაჩაღის გვამი დუშეთში ჩაიტანეს. ზედ აღმოაჩნდა მაუზერის რევოლვერი, ბურების სისტემის თოფი 300 პატრონი და მრავალი დეპეშა და წერილი სხვა და სხვა ქალაქიდან. ყაჩაღი შეხედულობით 24-26 წლის კაცს გვაგონებს. მასთან მყოფნი შეიპყრეს.

ამ ამბის მეორე დღეს ბაზალეთის ბოქაულმა სულ გადასწვა ფარესოვის სახლი, სადაც ყაჩადი იყო.

ბამგის მრეწველთა კრება.

გუშინდელ კრებაზე მოხსენება წაიკითხა **ბ. ფიგუროვსკიმ,** შეეხო მეტეოროლოგიურ მოვლენათა გავლენას ბამბის მარცვალზე და დაასკვნა: საჭიროა ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა კუთხეებში სამეტეოროლოგიო სადგურების მოწყობა, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს მეტეოროლოგიურ ცვლილებას. ბამბის მოკრება ადრე უნდა ხდებოდეს; საბამბო მიწების რწყვა უნდა შეუფარდდეს ავდარსა და წვიმებს.

შემდეგ მოხსენება წაიკითხა სახელმწიფო ბანკის კანტორის გამგემ ბ. **ბეზობრაზოვმა;** იგი შეეხო სახელმწიფო და კერძო სესხს და საჭიროდ სცნო ასეთ დაწესებულებათა გავრცელება.

ბ-ნმა **იოსებ გ. ქუთათელაძემ** აღნიშნა, რომ წინააღმდეგია ბეზაბრაზოვის მოხსენებისა. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ წვრილ სესხის დაწესებულებანი თვალსაჩინო დახმარებას ვერ უწევენ ბამბის მრეწველობასაო.

კრებამ განიხილა ტფილისის საბირჟო კომიტეტის მოხსენება მორწყვის საქმეში კერძო თაოსნობის მოწვევისა. 5 ნოემბერის კრებაზე მიიღეს შემდეგი რეზოლიუციები: **რადგანაც** ნიადაგი ბამბის სამრეწველო რაიონებში თანდათან იფიტება, ბევრ რაიონში განგებ ანესტიანებენ და ნარევ ბამბას ჰყიდიან, რაც ბამბას მეტად ამდარებს. კრებამ დაადგინა: სთხოვოს კავკასიის უმაღლეს მთავრობას შესაფერი შუამდგომლობა აღძრას, რათა ამ მხარესაც მიენიჭოს ისეთი საერობო უფლებები, რომელიც შიდა რუსეთის მოქალაქეებს აქვს, და რომელიც ხელს შეუწყობს აქაურ მკვიდრთა ნივთიერ და გონებრივ განვითარების ამაღლებს, ეს კი, რასაკვირველია თავის მხრით იმისი თავდებია, რომ ხალხი გადაეჩვევა ფალსიფიკაცას და თავისი ნაჭირნახულევის ხარისხის დაფოლებას.

კრებამ მიიღო აგრედვე რეზოლიუციები წვრილ სესხის დაწესებულებათა გავრცელების თაობაზე და სახელმწიფო ბანკში სესხის გაძლიერების საჭიროების მიხედვით; სესხის რაოდენობის გადიდება იმ წვრილ მრეწველთათვის რომელნიც მონაწილეობას იღებენ შემნახველ გამსესხებელ და წვრილ სესხის ამხანაგობაში. სამრეწველო კოოპერაციების შექმნაში ხალხს დახმარება უნდა გაუწიონ მომრიგებელმა შუამავლებმა, ხარჯის ამკრეფმა ინსპექტორმა და ინსტრუქტორებმა.

კრებამ აგრედვე დაადგინა: საჭიროა ბამბის საჩიხრიხი მანქანები. ამ საქმეში კერძო თაოსნობა და საუკეთესო ქარხნების მოწყობა. საჭიროველია საჭიროა ბამბის თესლის გადატანაზე რკინის გზის ტარიფი შემცირდეს, რაც ხელს შეუწყობს ზეთის ხდის საქმესაც. საჭიროა ბამბის მრეწველობის ცენტრალურ რაიონებში როგორც ერივანში, განჯაში საბირჟო კომიტეტების დაწესება, რომელიც ხალხს აცნობებს ბამბის ფასსა და სხვა.

კრებამ სასურველად არა სცნო, რომ რუსეთის ბაზარზე ბამბას ბაჟი დაედოს.

ილიას საღამო ოდესაში.

28 ოქტომბერს ოდესაში, ვაჭართა საკრებულოს დარბაზში, ნაფიც ვექილის მიხ. ჯუღელის თაოსნობით ქართველმა სტუდენტებმა ილიას საღამო გამართეს.

პროგრამა ძლიერ საინტერესო იყო და სავსებით შეასრულეს.

აქაურ ქართველ სტუდენტებს საზოგადოებაში აბრუ აქვთ გატეხილი და ეს საღამო მით უფრო საყურადღებოა.

1. ილიას სურათთან ქართველმა გუნდმა სტუდ. გერ. კუპრაშვილის ლოტბარობით „დიდება“ უგალობა მგოსანს.

2. რუსმა კურსისტკამ წაიკითხა ამ დღისთვის დაწერილი სტუდ. გიორ. ცაგარლის **რუსული** ლექსი.

3. პრივ. დოცენტ სიმ. ავალიანმა რეფერატი წაიკითხა რუსულად და დაახასიათა ილია საზოგადოდ.

4. სტუდ. მიხ. ცეცხლაძემ ქართულად წაიკითხა ილიას ნაწარმოებთა გარჩევა.

5. ქართულად ითამაშეს „სცენები მომრიგებელ შუამავლთან“ ილიასი.

6. სტუდენტთა გუნდმა იგალობა 4 სიმღერა: გახსოვს ტურფავ, რენო რანინა, მიყვარს ფაცხა და მურმან მურმან, ძალიან კარგად შეასრულა.

დასასრულ, სიბრრიაკოვის თეატრის მსახიობთ ალექსეევამ და იაბლოსკინმა რუსულად ილიას „დედა და შვილი“ ითამაშეს, სოფიო ამერაჯიბის თარგმანი.

სის. ავალიანი კარგი ორატორი ყოფილა. იქ დამსწრე არა ქართველ საზოგადოებას მკაფიოდ განუმარტა ილიას მნიშვნელობა ქართველობისთვის და ანიშნა მესამოცე წლების რუს პროგრესსიულ მოღვაწეთა გავლენა ილიას აზროვნების მომწიფების საქმეში.

სტუდ. მიხაკო **ცეცხლაძემ** ქართულად გაარჩია ილიას ნაწარმოებნი.

მადლიანი ქართულით და გურულ ადამიანის ტემპერამენტით იყო თქმული ეს სიტყვა.

„ილიაში შეერთდა ორი ტომის სისხლი, ქართველის და სომხისა, ორი ტემპერამენტი და ორგვარი სიცოცხლე, — სთქვა რეფერენტმა, თავის ოჯახში ილიამ შეისწავლა საუკეთესო ქართული ენა, გეეხსნა ნიჭი და ფანტაზია, ჩაენერგა ქვეყნის სიყვარული.

კახეთის საუცხოო ბუნებამ, ყვარლის ცამდე აზიდულმა მთებმა, გრიგალმა, მეხმა და ქუხილმა, რომელიც ამ მთებიდან ხშირად ისმოდა, ყმაწვილს ესტეთიური გრძნობა განუვითარა და ბევრი საინტერესო წუთი აგრძნობინა“.

მერე ანიშნა ილიას თან და თანი წინსვლა, რუსეთიდან დაბრუნება და პირველი ნაწარმოებნი.

„პირველად ყოვლისა ილია ცხოვრებაში გამოვიდა, როგორც რეალისტ-ობიექტივისტი.

„ილიამ მიზნად დაისახა გლეხთა განთავისუფლებისთვის, როგორც სიტყვით, ისე საქმით ხელი შეეწყო: სიტყვით პრესის საშუალებით და საქმით კი თავად-აზნ. კომიტეტებში გლეხების ინტერესებს მედგრად იცავდა, ასე რომ ერთხელ ეოთ გააფიცრეულ თავადს კინამ თავი შეაკლა. „ყაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, ლექსი „პარიზი“, „აჩრდილი“ და ბევრს სხვა ადგილს ილია აღიარებს, ჩაგრულთ მხოლოდ საკუთარი თავის რწმენა უნდა ჰქონდეთ. ეს მესამოცე წლების მიწურულებში. მეოთხმოცე წლებში ილია „ოთარაანთ ქვრივში“ გაბატონებულ კლასთა და გლეხების ჰარმონიასა ჰქადაგებს, მაღალ და დაბალ წოდებათა შორის ჩატეხილ ხიდის გამთელებას ჭლამობს“.

ეს წინააღმდეგობა მიხაკო ცეცხლაძემ მეტად კარგად აღსნა და ეს მისი აზრი მგონი პირველია და სრულებ ახალი: 1) „რუსეთში მესამოცე წლების მოღვაწენი „რაზნოჩინცები“, დაბალ წრიდან იყვნენ გამოსულნი. მათი უარყოფა მკაცრი იყო. ჩვენში თავადები იყვნენ ეს მოღვაწენი, რომელნიც მდგომარეობით მეორმოცე წლების ხალხს უახლოვდებოდნენ და ისე კი „რაზნოჩინცების“ აზრთა ზე გავლენის ქვეშ იყვნენ. მათი უარყოფა რყევას განიცდიდა, ხან კატეგორიულ ხასიათისა იყო, ხან ილლუზიებზე აშენებულ პალიატივებით კმაყოფილდებოდა;

2) რუსეთში უარყოფა შედეგი იყო მთელ ევოლიუციონურ განვითარებისა, ჩვენში კი ამგვარი რამ პირველი ხელი იყო.

3) განსაკუთრებული ეროვნული პირობები ერთგვარ დაღს აჩნევდა მწერლის უარყოფას.

ესე დიდხანს მიხ. ცეცხლაძის რეფერატზე იმიტომ შევჩერდი, რომ მეტად საგულისხმო აზრებია შიგ გაბნეული. რამდენი რამაც კი მომისმენია ილიას შესახებ, ყველგან შაბლონური: „დიდებული ილია, კარგი ილია“ ისმის, აქ კი მიზეზი ყველაფრის ახსნილ-განმარტებულ იყო.

სულ 20 წუთს ილაპარაკა და რამდენი ახალი რამ სთქვა ახალგაზრდა კაცმა.

დიდი მადლობა რეფერანტს!

„სცენები შუამავალთან“ ექიმ ვანო დათოშვილის რეჟისორობით და მონაწილეობით წარმოადგინეს. შუამავალი თვით ვანო დათოშვილი იყო. კარგი ჭრიაშვილი იყო სტუდ. ალექსიძე. ქვრივი—თამ. ჯავახიშვილი, თუ მეტი არა, კარგად თამაშობდა. ქვრივის მაზლი, სტუდ. დათ. როინაშვილი, კარგი სცენის მოყვარე ყოფილა.

რუსულად „დედა-შვილი“ უცხო საზოგადოებას ძალიან მოეწონა.

საღამო ნაშუადამევს გათავდა. სტუმრად მოწვეული იყო 100-მდე ქართველი მუშა, ნავთსადგურში მომუშავენი; ყველა პროგრესისტი პროფესორი და რჩეული საზოგადოება ადესელ უკრაინელთა, პოლონელთ, რუსთა და ებრაელთა.

დაესწრნენ საღამოს აგრედვე აქ მცხოვრებ ქართველოა ოჯახობა.

სულ 500 სულამდე იყო.

საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა. საღამო უფასოდ გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი მემარჯვენე პროფესორი ან სტუდენტი საღამოზე არა ყოფილა. ამ საღამომ დაასაბუთა, რომ აქაურ ქართველ სტუდენტობას (120 კაცი) გამოფხიზლება ეტყობა.

მადლობის ღირსნი არიან: სიმ. ავალიანი, ნაფ. ვექ. ჯუღელი, ექიმი დათოშვილი და სტუდენტთა კომისია, ამ საღამოს მომწყობნი: მიხ. იაშვილი, წერეთელი, ბერძნიშვილი, მიქელაძე, ზაქარაია და მაკაჯარიანი.

კარბელი.

† ივ. შარაშიძე

(ნეკროლოგი)

დეპეშამ სამწუხარო ამბავი მოგვიტანა—ხონში გარდაცვლილა ქვემო იმერეთში ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე სიმონის ძე შარაშიძე, რომელსაც ქვემო იმერეთისა და ქერძოდ ხონის გათვითცნობიერებაში და სწავლა-განათლების გავრცელებაში დიდი ღვაწლი და ამაგი მიუძღვის.

ივანე შარაშიძეს სწავლა არსად არ მიუღია—მან მხოლოდ წერა-კითხვა იცოდა ქართული და რუსული, მაგრამ მიუხედავად ამისა მთელი თავისი სიცოცხლე ივ. შარაშიძემ სწავლის გავრცელების საქმეს შესწირა. მისი ფიქრი მხოლოდ ის იყო ამა, ეხლა რა სასწავლებელია საჭირო ხონისათვის—ამა ეხლა რა სასწავლების გახსნაზე უნდა ვიზრუნოთ. და მართლაც, ამ მხრივ უნაყოფოდ არ ჩაუვლია ივანე შარაშიძის სიცოცხლეს, მის ამაგს, მის ნივთიერ დახმარებასაც. ღღესდღეობით ხონში იმდენი სასწავლებელია სულ სხვა და სხვა გვარი, რამოდენიც საქართველოს არც ერთ ქალაქში არ არის. გარდა ტფილისისა, ქუთაისისა და ბათომისა.

ღღეს ხონში გარდა დაბალ სასწავლებელისა, სახელოსნო სასწავლებელი, საოსტატო სემინარია, სავაჭო გიმნაზია და ქალების პროგიმნაზიაა. ყველა ეს სასწავლებელი ხონში გახსნილია ივანე შარაშიძის თაოსნობითა და მეოხებით. გარდა ამისა ივანე სვიმონის ძე საკუთარის ხარჯით ინახავდა უფასო სასწავლებელს, სადაც 50-მდე ღარიბი ბავშვი სწავლობდა.

მაგრამ ამით არ განისაზღვრებოდა ივ. შარაშიძის მოღვაწეობა, არ ყოფილა ხონში და მის რაიონში არც ერთი საზოგადო საქმე, სადაც მას მონაწილეობა არ მიეღოს და თავისი წვლილი არ შეეტანოს. მისი მეოხებით ხონის რაიონში მდ. ცხენისწყლიდან გამოყვანილი არხი, რომლის საშუალებით 20 კვადრატი ვერსამდე საყანე ადგილები ირწყვება. მთელი თავისი სიცოცხლე და მოღვაწეობა ივ. შარაშიძემ დ. ხონს შესწირა. ქონებრივად უზრუნველყოფილია. ივ. შარაშიძემ ეს ქონებაც საზოგადო საქმეს დაახარჯა და შეალია და უკანასკნელად, სიკვდილის შემდეგაც დარჩენილი თავისი ქონება, უკვე მცირედი, უანდერძა ხონის საზოგადოებას სახალხო სახლის ასაშენებლად.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

ნინოწმინდის ეკლესია

1.

ნინოწმინდის ტაძარი იმყოფება სოფელ ნინოწმინდაში ქ. ტფილისიდან 45 ვერსზედ. იგი შესანიშნავი ძეგლია ვახტანგ გორგასლანისა!.. დაარსებულია V საუკუნეში ვახტანგ გორგასლანის მიერ! პირველად იგი ყოფილა საკერპო, რომელსაც დიდ თაყვანს სცემდა მთელი კუხეთი. ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო, როდესაც ჭქადაგობდა კუხეთში დადგა ნინოწმინდას, მცხოვრებლები მოაქრისტიანა და ეს ცრუ ბომონი გადააქცია ეკლესიად. წმიდა მქადაგებელს ძალიან უყვარდა ეს ადგილი და ამიტომ ჩალხმა დაარქვა ამ სოფელს მისი სახელი **ნინოწმინდა.** როდესაც ვახტანგმა იქორწინა ბერძენთ იმპერატორის ასულზედ (472 წ.) მან დაადგინა საქართველოში კათალიკოსად **პეტრე** (ტომით ბერძენი) და მთავარ ეპისკოპოსად სამოელ, აგრედვე ეპისკოპოსები კლარჯეთს, ერუშეთს, წუნდას **ნინოწმინდას** და შვიდ ალაგას კიდევ სხვაგან. (იხ. ვახუშტ. ისტ. გვ. 100) პირველი ეპისკოპოსი ნინოწმინდისა იყო ბერძენი, რომლის სახელი არა სჩანს ქართულ მატიანეში. სახელი ამ ეპისკოპოსისა უნდა იხსენიებოდეს იმ ბერძნულ წარწერაში, რომელიც იმყოფება საკურთხეველის კედელზედ *) სამეფო დარბაზობაზედ, ან კიდევ მირონის კურთხევის დროს ნინოწმინდელ ეპისკოპოსს ეკერა, მეხუთე ადგილი კათალიკოსის მარჯვნივ. ჩვენ ვიცით შემდეგნი ეპისკოპოსნი ნინოწმინდისა: **არსენი,** რომელიც X საუკუნის დამდეგს წავიდა ათონს ბ. რომელმაც სთარგმნა იოანე დამასკელის წიგნები. **ქრისტეფორე**—შაჰ-აბასის შემოსევის დროს რომელმაც განაახლა ბოდორნის ეკკლესია (1615—18 წ.წ.) **იოსები**—გვარად ვაჩნაძე, რომელმაც ხელი შეეწყო დავით-გარეჯის ლავრის განახლებას (შაჰ-აბაზის დანგრეულს.) ვიცით აგრედვე **საბა** ტუსის ძე, რომელმაც ამხილა ანტონ კათალიკოსი I-ლი კათოლიკობაში, **მიქელი,** რომელმაც 1750 წელს დაადგა გუმბათი ამ ტაძარს. უკანასკნელი მიტროპოლიტი ნინოწმინდისა **მიხეილი** (წინად ტფილელი მიტროპოლიტი), რომელიც სიბერის დროს დაბრმავდა და გარდაიცვალა 1811 წელს.

2.

1616—1617 წელს, სპარსეთის ტირანმა, შა-აბასმა ძირს დასცა კახეთი, მისივე ბედი ჰხვდა წილად ნინოწმინდას. აბასმა დაანგრევინა გალავანი, მოაგდებინა გუმბათი და მრავალი შენობანი!.. ხოლო იოსებმა (ენდრინოკაშვილმა) ნინოწმინდის მიტროპოლიტმა ისევ გაამშვენიერა ეს ტაძარი. აუშენა დიდი მარანი, შემოავლო ვრცელი და მაგარი გალავანი და აგრედვე კარის ბჭე. ამის მოღვაწეობას ამტკიცებს ტაძრის შესავალ კარებში ოთხ-კუთხიანი ქვა. ამის შემდეგ ტაძარი ისევ გაამშვენიერეს და გადიდდა. 1824 წელს ტაძარმა ველარ შეიკავა მძიმე ტვირთი და გუმბათი და თაღი ეკლესიისა საშინელი გრიალით წამოვიდა ძირს!.. დადუმდა ტაძარი... დადუმდა დიდებული **ძეგლი** ვახტან გორგასლანისა!.. მისი წმ. ნინოს ხატი ძვირფასი ქვებით შემკული გადმოიტაიეს სიონში! მომსწრე მოხუცებულების სიტყვით რვა ფურგონი საეკლესიო საუნჯე გაიტანეს აქედან ტაძრის დანგრევის დროს. საუცხოვო ხელოვნების ბარძიმ-ფეშხუმი 12 საუკუნეში შეწირული ბნ. თამარ დედოფლისგან გადარჩა ბათუმს, ხოლო ამ ირმოციდან წლის წინედ ქურდებმა ურცხვად გაიტაცეს აქედან!.. დღევანდელ პატარა ეკკლესიაში დარჩა მარტო ორი ნაშთი ძველი ტაძრისა: დაფარნა,-შეწირული **პატარა-კახის** დედისაგან **თამარ-დედოფლისაგან,** აგრედვე ძველი ხატი წმ. ნინოს სასწაულებისა. ხოლო ნინოწმინდის ტაძრის ეკკლესიის ბიბლიოთეკის გადარჩენილი ძველი წიგნები ეხლანდელმა მღვდელმა ამ ტაძრისამ ალექსი **გულისაშვილმა** ჩამოიტანა ტფილისის საეკლესიო სიძველეთა საცავში.

3.

ტაძრის დანგრევის შემდეგ გადარჩა კარის-ბჭე, საკურთხევლის ნაწილი სამრევლო აშენებული 1671 წ. და ნინოწმინდელ მიტროპოლიტის სახლი. ტაძრის გადარჩენილ კედლებზე იპოვება მრავალი წარწერები (აგრედვე ეთი ბერძნულიც.) მაგრამ ძნელი ამოსაკითხნი არიან, ხოლო ერთში იხსენიება ვიღაც **თევდორე.** ტაძარი შიგნით მოხატული ყოფილა, დახატულია ღვთის-მშობელი ძითურთ, სიმაღლით საჟენ ნახევარია, ხოლო სანე მისი განკვეთილი რვა ტყვიით!.. აგრედვე დახატულნი არიან მთავარ-ანგელოზნი მიქელ და გაბრიელ.

4

1846 წელს აქაურ მკვიდრთა ააშენეს პატარა ეკკლესია, ხოლო ძველი ნანგრევნი ბუმბერაზ ტაძრისა*) ხალხს არ დაუვიწყნია და ყოველ წელს 14 იანვარს, გარედ-კახეთის მცხოვრებნი ამ ნანგრევებზედ დღესასწაულობენ მისს დღეობას...

გ. ლეონიძე.

პროტესტები

არა ერთი და ორი წერილი დაბეჭდილა ჩვენს გაზეთში იმნაირ გაზეთების არსებობის წინააღმდეგ, რანაირიც რუსული ასოებით აწყობილი ქართული გაზეთებია. ჩვენი აზრი ამ საკითხის შესახებ მკითხველმა საზოგადოებამ იცის. ამ ხანად მოგვივიდა ორი საპროტესტო წერილი სტუდენტებისაგან. მოსწავლე ახალგაზდობა ჩვენი იმედი და ნუგეშია, ამას შევაცქერით და მისგან მოველით ჩვენს ძრავალ სნეულებათა განკურნებას. ამიტომ ურიგო არ იქნება ფართო საზოგადოებამაც გაიგოს, როგორ უცქერის მოსწავლე ახალგაზდობა ამ საკითხს. აი, მოისმინეთ:

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მოგვეცით ჩვენ, კიევის სტუდენტთა ერთს ჯგუფს, თქვენს პატივსაცემ გაზეთში მოვთავაზოთ შემდეგი: ჩვენში არსებობს ერთი ჯგუფი „ინტელიგენციისა“, რომელსაც გადაუწყვეტნია, რომ ჩვენს გამრუსებლებს დახმარება სჭირია. ამიტომ ისინი გამოსცემენ „რუსულ“ გაზეთებს, რომელთაც უმეტეს წილად ისევ ქართველები კითხულობენ. ეს გაზეთები ქართველობას აჩვევენ რუსულად ძსჯელობას, გადაგვარების განმტკიცებას ხელს უწყობენ, შხამავენ და ჰბილწავენ ერის ორგანიზმსა. უკანასკნელ დროს ამასაც აღარ სჯერდებიან და ხელი მიუყვიათ ქართულ დაწესებულებათა ლანძღვისთვის (იხილეთ „ზაკავკ. რეჩ“-ი, № 228). აღშფოთებული ახალგაზდობა მწუხარებას აცხადებს ზემოაღნიშნულ ჯურის ორგანოთა არსებობის წინააღმდეგ საზოგადოდ“.

ხელს აწერს ორმოცი კაცი.

ასეთივე პროტესტი მოგვივიდა ადესიდან.

ბ-ნო რედაქტორო!

ეს მცირე წერილი გთხოვთ მოგვიოავსოთ გაზეთში. რადგან რუსულ ასოებით დაბეჭდილ ქართველების გაზეთები საზოგადოდ და კერძოდ „ზაკავკ. რეჩ“-ი შეურცხავ და დევნას არ ულევენ ქართულ გაზეთებსა და დაწესებულებათ (იხ. „ზაკავკ. რეჩ“-ი, № 228), რადგან ეს გაზეთები სულს ურყვნიან ქართველ მკითხველთ და შხამს აწვეთებენ საზოგადოებრივ ორგანიზმში,—პროტესტს ვაცხადებთ ამგვარ ბეჭვდითი ორგანოების არსებობის წინააღმდეგ.

ვთხოვთ „იმერეთს“, „თემს“, „ქართლს“ და „ხმა კახეთისას“ გადაბეჭდონ ეს პროტესტი.

ხელს აწერს 22 კაცი.

*) ეშენებოდა უზარ-მაზარ ლოდებისაგან.

*) ხვა და ხვა მიზეზებისაგან ეს წარწერა ვერ მივიყვანეთ აქ. **გ. დ.**

ფუტკარი და მეფუტკრეობა

1903 წელს ტფილისის სააბრეშუმო სადგურს ვათვარიელებდი. ამ სადგურის მაღაზიაში ყურადღება მივაქციე წიგნაკებს. უმრავლესობა რუსულ ენაზეა დაწერილი. იყო რამოდენიმე სომხურიც, მხოლოდ ქართული არც ერთი. არ ვიცი რამდენად მართალი მითხრა მაღაზიაში მდგომმა, როდესაც ქართული წიგნაკების მოკითხვაზე მიპასუხა, ქართულად აბრეშუმის და მეფუტკრეობის შესახებ წიგნაკები არ მოიძებნებაო, რომ იყოს უსათუოდ გვექნებოდა, აი სომხურად არის და გვაქვს კიდეც.

გულნატკენმა გადავწყვიტე უსათუოდ გამომეძებნა, როცა დრო მექნებოდა, შესაფერი წიგნაკები რუსულ ენაზე და ძეთარგმნა ქართულად. პირველი წიგნაკი, რომელიც ხელთ მომხვდა და რომელიც სასარგებლოდ ვიცანი ჩვენთვის, იყო ქალბატონ მუსინ-პუშკინის ბროშიურა „Какъ вести пчелъ въ ульѣ Дадана“, როცა თარგმნა გავათავე, მაშინ მოვიპოვე ედ. ლერტრანის „მეფუტკრის კალენდარი“. წავიკითხე და დავრწმუნდი, რომ პირველ წიგნის ავტორს უსარგებლია ამ წიგნით, შეუზღუდია წიგნის შინაარსი მარტო დადანის სკაში ფუტკრის მოშენების საქმით და გამოსულა ახალი ბროშიურა. საწყენად დამრჩა ამ დასკვნის გამოყვანა, მაგრამ სიმართლე ძაიძულებს ვსთქვა, რომ „მეფუტკრის კალენდრის“ მქონეს სრულიადაც არა სჭირია ქ-ნ მუსინ-პუშკინის ბროშურა.

რამოდენიმე დიდი წიგნი წავიკითხე ფუტკარზე და მეფუტკრეობაზე, ბევრი დრო დავკარგე, რადგანაც ვფიქრობდი—მჯობს ძჯობი არ დაილევა მეთქი, მაგრამ ბერტრანის „მეფუტკრის კალენდრისთანა“ სრულიად ცნობებით, მოკლე, მკაფიო, გონივრულად დაწყობილი მასალა, ადვილად საკითხი, გასაგები, და ცნობების საპოვნელი, იაფი, ცოტა დროს მომდომელი, ყოველგვარ საჭირო ცოდნის მომცემი, ყოველ ცოტად თუ ბევრად ფუტკრის ძმყოლის, ან ახლად დამწყობის ნამდვილ განათლებულ მეფუტკრედ გადაქცევის შეძლე, მე ვერა ვნახერა. ამის თავდები ვგონებ, ისიც არის, რომ ამ წიგნმა ევროპაში, ფრანგულ ენაზე ცხრა გამოცემა იხილა და გადითარგმნა იტალიურ, რუსულ, ნემენცურ, ბულგარულ გოლანდიულ და ისპანიურ ენებზე. აი ამ აზრის შედეგნის შემდეგ, რის გამოც ბერტრანი დაუყონებლივ ვთარგმნე ქართულად, ხელში ჩამივარდა აპ. წულაძის „ფუტკარი და მეფუტკრეობა“, რომელშიაც მან მთლად ძოთხარა ჩემგნით მოწონებული და უკვე გადათარგმნილი ბერტრანის „მეფუტკრის კალენდარი“. (და არა „მეფუტკრეობის კალენდარი“, როგორც ბ. წულაძე სთარგმნის „календарь пчеловода“).

ბ-ნი წულაძე ამბობს, ბერტრანის წიგნი ძალიან მოიძველებსო. ამან მაფიქრებინა, რომ ბ-ნ წულაძის წიგნში ახალი რამ იქნებოდა. როდესაც ეს ორი წიგნი ერთმანეთს შევადარე, აღმოჩნდა, რომ ბ-ნ წულაძეს წიგნში, შედარებით ბერტრანთან, ახალი არაფერია. ბერტრანი, რომ, არც მოიძველებს, და მეფუტკრეობას ბევრი რაძ არც მოემატა მის წიგნის უკანასკნელ გამოცემის შემდეგ ეს იქიდგან სჩანს, რომ ბ. წულაძე ვერაფერს მიჩვენებს, როგორც ზევითაც ვსთქვი, თავის წიგნში ისეთსაც, რაიც არ იყოს ბერტრანის წიგნში. რაც შეეხება მეფუტკრეობის მეცნიერებას ბერტრანი სამართლიანად ამბობს თავის მე-VII გამოცემის წინასიტყვაობაში, რომ მის განვითარებას შეიძლება მხოლოდ პერიოდულ გამოცემებში ეგდოს ყური“. 1906 წელს დაბეჭდილა რუსულად უკანასკნელი გამოცემა ავტორის ჩვენებით შესწორებული და შევსებული. რა მოხდა მეფუტკრეობაში ისეთი, რომელიც ბ. წულაძემ აღნიშნა თავის წიგნში და ბერტრანი მოაძველა. ვიმეორებ ახალი რამ, წვრილმანის მეტი, რომელსაც ყურადღება არ ექცევა, მე მის წიგნში ვერა ამოვიკითხე რა. პირიქით, მისი წიგნის ბევრი ადგილები ბერტრანის წიგნს მომაგონებს და ვფიქრობ, რომ ამ წიგნს დიდი გავლენა ჰქონია მის ნაშრომზე.

ეს სხვათა შორის, უმთავრესი მიზანი ამ წერილისა ის არის, რომ ტერმინების შესახებ შევსთანხმდეთ. ჩვენგნით ნათარგმნი ბერტრანი დაიბეჭდება, მე ამაში ეჭვი არა მაქვს, რადგანაც მისი შეუდარებელი ღირსება ყველა მეფუტკრეს განუცდია. რადგანაც ეს აუცილებლივ მოხდება და რადგანაც ვიმედოვნებ ბერტრანი იქნება მეტად გავრცელებული სახელმძღვანელო ჩვენებურ მეფუტკრეებში, ამიტომ საჭიროა ამ წიგნში შევიტანოთ ისეთი ტერმინოლოგია, რომელიც მეფუტკრეობაში საბოლოოდ გამტკიცდება და სადავო აღარ იქნება. ამ მიზნისთვის მე ასე მოვიქეცი: ავიღე ლექსიკონი საბა სულხან ორბელიანისა და თავით ბოლომდე გადვიკითხე, ასევე უყავი ჩუბინაშვილის ლექსიკონებს და დაბადება-სახარებებს. რაც კი სიტყვები შემხვდა მეფუტკრეობის შესახებ ანბანზე ამოვიწერე და თარგმანში ვიხმარე. ამ ზაფხულს, სადაც კი ჩვენებური უბრი მეფუტკრე შემხვდა, ვეკითხებოდი ფუტკრის შესახებ ხან რას ხან რას, ვალაპარაკებდი ჩემთის საჭირო საგნის შესახებ და ასე ვამოწმებდი ამა თუ იმ ტერმინის ხმარებას ხალხში. ქვემო მოყვანილი ჩემგნით ნახმარი ტერმინები ამ გზით არის შეგროვილი. ვთხოვ მცოდნეთ მიაქციონ ამ ფრიად საყურადღებო საგანს ყური და შეგვისწორონ—შეგვივსონ, თუ რამ ნაკლს დაინახავენ. ჩემგნით ნახმარ ტერმინებს ბ. წულაძისაგან ნახმარ ტერმინებთან პარალელურად მოვიყვან, რომ გადაწყვეტა უფრო ადვილი შეიქმნეს და უპირატესობა თვალსაჩინო.

1) ავადმყოფობა სიმყაყე უნდა იყოს სიდამპლე.

2) სასუნთქი ნაპრალები - ფორები.

3) ახალი ნაყარი—მარფი, ბარტყი.

4) ფიქის უჯრები—ნაჩვრეტები.

5) „გაპირვების სადედე უჯრა—ნაჩვრეტი.

6) ქეო (цвѣточная пыль)—ქერტლი.

7) სანთლის ქერტლი (რუსალდ плитки)— სანთლის პატარა დორფინები.

8) დინდგილი (щ ополисъ) დინდგელი.

9) დამამლული, დაუმამლავი.—ყოფიერებული, გაუნაყოფიერებელი

10) კვერცხი, ქია, პარკუში უკანასკნელი სიტყვა სჯობია პარკი იყოს.

11) განსვენების ხანა, უკეთესია მისვენების ხანა.

12) სუტ დედა (трудовка) სუტ ჩვენებური სიტყვა არ არის, სჯობია სიტყვა—ტყუილი დედა ან სამამლე დედა.

14) ქეო არის ყვავილის მტვერი (გვ. 29); ყვავილის მტვრის შეგროვება და ქეოდ ქცევა (გვ. 63) არ ვიცი რას აღნიშნავენ ქეოთი, იქნება საკვებ ფათლუხს. (кормовая жижа)?

15) „მუზიკანტები“ უნდა იყოს მესაკრავენი, მემუსიკენი.

16) გასაწმენდი გაძოსვლა თუ გამოფრენა?

17) ხარაბუზი (ნადირია ორბელიანის ლექსიკონით); ხარაბუა კიდევ მოწერია ჩუბინაშვილის ლექსიკონით ამიტომ სჯობია ხარაბუა ვიხმაროთ.

18) ხმა, უნდა იყოს—ბგერა (звукъ) (81 გვ.).

19) ჯან-საღი სადგმური ფუტკრის შეძენა—ვფიქრობ სჯობია მოდგმის, ჯინის ფუტკრის შეძენა.

20) სავარგისი, სათაფლე საფუტკრე მიდამოს არჩევა—თუ თაფლიან, თაფლ მომცემ მიდამოს არჩევა.

21) სამზეური, უნდა იყოს მზვარე.

22) საშვო ადგილას კი არა, საშუალო, შუაგულ, შუა ადგილას.

23) ლარტყა, უნდა იყოს ლატანი.

24) დედებს სადგმურად გაიწერამენ. უნდა იყოს სანაშენოდ, მოსაშენებლად.

25) სათესლედ კი არა, სანაშენოდ (110).

26) სკის ზედ სართი, უკეთესია დასადგმელი.

27) გადასამკედლავ მოძრავი ფიცარი (вставная доска) სჯობია ჩასადგამი ფიცარი.

28) თამასა ვითომ სოფრენის შემავიწროებელ-გამადიდებელი ფიცარია; სჯობია საგდოლი.

29) ხილვა (осмотръ) სჯობს დათვალიერება, გაშინჯვა,

30) გაიბანდოს აშკით. აშკა ჰრუეინაა ქართულად უნდა იყოს, გაიბანდოს მავთულით.

31) ნამთავარა ნაყარი (перевакъ) სჯობია პირველა მართვი.

32) სანაყრე (роевня) უნდა იყოს როგო.

33) ნაყრობანა (роевая горячка) უნდა იყოს მართვობანა ან სამართვე ხურება.

34) სადგმური დედა, თუ საყოლ, მოსაშენებელ დედას ჰნიშნავს, მაშინ უკეთესია სატაზლუხო დედა.

35) მავთულის ბადური — უნდა იყოს სერსეროთი (проволочная сѣтка)



ვარლამ ლევანის ძე ბელოვანი,
ქუთაისის გუბერნიიდან სათათბიროს დეპუტატად არჩეული.

36) მოდალე ფუტკარი (летная пчела) თუ ლალაზე მაფრენალი ფუტკარი?

37) სარჯი თაფლი, თუ ეს რუსულ сотовый медъ ჰნი ნავს მაშინ უკეთესია ვიხმაროთ გოლეული თაფლი.

ფიტი, ფიტა—воск выя части меда. ამ სიტყვით ჩვენ აღვნიშნავთ იმას, რასაც რუსულად сушь-ს უწოდებენ. ფიქა ჰნიშნავს თაფლიან და ბარტყიან პურებს—сотъ съ запечатанымъ медомъ и пѣтк ю; თაფლის ხვეზა ჩუბინაშვილის ლექსიკონით ჰნიშნავს сотъ меда ამიტომ ხელოვნურ ხვეზას ვიხმაროთ იქ, სადაც რუსულად искусственная в щипки იხმარება. ბ. წულაძის წიგნში ეს სიტყვები ზოგი სულ არ არის ნახმარი, ზოგი არეულად იხმარება.

38) შაქრის კვერცხები (რუსულად сахарныя плитки). თუ ამის აღსანიშნავად არის ნახმარი, მაშინ უკეთესია ვიხმაროთ შაქრის პატარა ლოტფინები.

39) მაისა თუ რუსული Майскій жукъ-ია, მაშინ ჩუბინაშვილის ლექსიკონში ცოფიქია ნახმარი, რაიც ჩემს თარგმანში შევიტანე.

40) ნაყრობის ხუსტური (горячая росвая) ძართვობის ხუსტური უნდა იყოს.

41) ციბრუტა—цевка, обѣжка. ციბრუტი ორბელიანის ლექსიკონით ხის სახვრეტელაა. ცენტრი ქართულად ცქვიტია. სალდათებისგან გაძეგონია, ტყვია შიგ ცქვიტში მაგარტყაო. ორბელიანი ყარაკანის საშუალო ადგილად ჰხსნის ამ სიტყვას. ამ რიგად, თუ შეტანაა ისევ ცქვიტა უნდა მივიტანოთ და არა ციბრუტა; თუმცა ციბრუტივით ტრიალი ხმარებაშია და ამ ძანქანაშიც სწორედ ეს ტრიალი ხდება. ან იქნება უმჯობესი იყოს ორი სიტყვიდან შევქმნათ ერთი, როგორც ეს რუსულად არის.

დანარჩენი ტერმინები მეფუტკრეობიდან ზოგი ერთნაირად გვაქვს ნახმარი, ზოგი ბ. წულაძისა სჯობდა და ამიტომ ჩემები ძევცვალე და შევიტანე თარგმან მი. ზემოაღნიხმხეული სიტყვები და ტერმინები მე საჩოთიროდ და საკაკათოდ ძიმაჩნია და ამიტომ გადავიტანე გაზეთის ფურცლებზე. ვთხოვ ძცოდნეთ და ამ საქმის მოსიყვარულეთ, ნუ დაიზარებენ და თავიანთი აზრი გამოსთქვან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, რითაც ძეძლება მომეცეძა ჩემი თარგმანი გავუმჯობესო ენის და მეტერმინოლოგიის მხრივ და გავხადო იგი არამც თუ საუკეთესო სახელმძღვანელოდ, არაძედ მეფუტკრეობის საბოლოოდ და საუკეთესო ტერმინოლოგიის მემასწავლებელ წიგნადაც. თუ ვინმე საიძედო ავტორიტეტი გამოვა და იტყვის, რომ ჩვენთვის არც ბერტრანია საჭირო, ბ. წულაძის წიგნის შემდეგ, და არც იქ წიგნში ნახმარ ტერმინოლოგია სიტყვების შესწორება-შეცვლა, მაშინ ჩემს თარგმანს ცხრა კლიტულში ჩავდებ; მაგრამ არა მგონია ასეთი ვინმე აღმოჩნდეს და ჩვენც მალე ველით საჭირო დამატება-განმარტებებს, რადგანაც თარგმნის თვითრად გადაწერა უამისოდ არ მოხერხდება.

ლ. ცაგარელი.

მოწერილი ამბები

ს. ყალამშია და **მიჯა** (ბორჩალოს მაზრა). ამ ორ სოფელს მდებარეობით საუკეთესო ადგილი უჭირავს: მშვენიერი გაშლილი სახნავ-სათესი მიწები, მინდორ-ჭალები და ტყეები. ამ ორ სოფელს ერთი-ერთმანეთისაგან ჭყოფს მდინარე „მოშევანი“, საუცხოო სანახაობას წარმოადგენს აქ ძველი მაღაროგამოქვაბულებით; ზოგიერთ გამოქვაბულებს რაოდენიმე საფენი აქვს სიგრძე; შესაფალი ამ გამოქვაბულებში ხელოვნურად არის გაკეთებული ქვითკირისა; ზოგ გამოქვაბულებში არის დარჩენილი **ქვ-საგან გამოკვეთილი თოლნე** და **ვარცლი**. ამ გამოქვაბულებში, რაოდენიმე წლის წინად ეპოვნათ სხვა და სხვა სპილენძის ნივთები ქურქელი და ადამიანის ძვლებიც. ამ კლდეებს ახლო, ტყეში არის სამი ძველი ეკლესიაც; ერთი მათგანი დღემდისაც ჩინებულად შენახულა: მშვენიერი თლილი ქვა ძველებური ჩუქურთმით, მშვენიერი მაღალი ძველებური ქვითკირის სამრეკლო იჭყრობს მნახველის ყურადღებას; სამრეკლოს ერთ მხარეზე წარწერაც ყოფილა ქართულად, მაგრამ ეხლა ძლივს-ღა ემჩნევა შემდეგი რაოდენიმე სიტყვა: „რათა“— „ია“ — „ღმერთა“ — „უ“— „იათ“ – „მეფეთა“ და სხვა.

საზოგადოდ ბორჩალოს მაზრაში ბევრია ისტორიული ნაშთები, ძველი მონასტრები და სხვა, ამისათვის არ იქნებოდა ცუდი ჩვენებური ექსკურსანტები ნახავდნენ აქაურ ძველ ნაშთებს;

ამ სოფლებში მოსახლეობენ ნახევრად გათთრებული ქართველები; აღარც ძველებური ენა, აღარც ზნე-ჩვეულება, აღარც ქართველური დარბაისლობა, აღარც ხალხური სიმღერეები, აღარაფერი აღარ შერჩენიათ მათ; დროთა ვითარებას ყოველივე მოუსპია, დაუმარხავს. აქაური ქართველები თათრულად ლაპარაკს უფრო ახერხებენ, ვინემ ქართულად; საუბრის დროსაც მათდა უნებურათ ურევენ თათრულ სიტყვებს. განსაკუთრებით, სიმღერა მაინც სრულიად არ იციან; მხოლოთ შეზარხოშებულები გაიძახიან ხანდახან თათრული კილოთი „ბალა-ბალას“.—

ნივთიერათაც ძალიან ჩამოქვეითებულები არიან აქაური გლეხები მისდევენ მეჯოგეობას, სთესენ პურს; მაგრამ ზოგს მხოლოდ რამოდენიმე დღიური აქვთ და ამისათვის ყველას არ მოსდის საყოფი პური.

ამ ორის წლის წინად აქაური გლეხები სარგებლობდენ აგრე წოდებულ „საბატონო“ მიწით, რომელიც თავად ქობულოვს ეკუთნოდა; მაგრამ გლეხებისაგე. დაუდეგრობით და მათი ბატონის წყალობით ეს მამულიც ხელიდან გამოეცალათ; ეს მიწები შეისყიდეს რუსებმა („ხახოლებმა“), სადაც უკვე დასახლდნენ. ამის გამო აქაური გლეხის მიწის სივიწროვე და გაჭირვება ერთი ორად გაორკეცდა. იხლა ძალიან სწუხან, რომ ხელიდან გამოეცალათ მათი სარჩო-საბადებელი ადგილები, მაგრამ ეხლა გვიანღაა.

სწავლა განათლების მხრივ ხომ სულ ჩამორჩენილია ბორჩალოს მაზრა; ხსენებულ სოფლებისათვის ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის ოთხ წელზე მეტია რაც სკოლა დაუარსებია, მაგრამ დღემდის სკოლას ჯეროვანი ნაყოფი ვერ გამოუღია, რადგანაც, საკუთარი შენობის უქონლობის გამო, სკოლა ვერ ყოფილა მკვიდრ ნიადაგზე დამყარებული. წელს შეუდგენენ სკოლისათვის საკუთარ შენობის აგებას და რომ უამინდობას არ შეეშალა ხელი, წელსვე დამთავრდებოდა—მხოლოდ სკოლას შეუძლიან ააცდინოს აქაური მომავალი თაობა მაინც, გადაგვარების გზას. ამისათვის ქ. შ. წ. კ. გამგეობამ განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიაქციოს ბორჩალოს მხარეს და მის სკოლებს.

მკითხავ-მარჩიელობას, ცრუ-მორწმუნოობას და ექიმ-ბაშობას აქაც ბომ პირველი ადგილი უჭირავს.

მასწავლებელი.

პატარა ფელეტონი

სიყვარული...

სიყვარული...

სიყვარულია,—სამოთხე...

მას ირგვლივ ღობედ მაისის ვარდის ბუჩქი ავლია... შიგაც კარები დაფნით დაწნული ჩამართულია... სოლო დარაჯად: ღამეა მთვარე, დღე ბრწყინვალე მზე თავს დასცქერია...

შიგა ჰყვავიან, ვით გაზაფხულზედ, ყვავილნი ნაზნი, სურნელოვანნ...

მაში ხარობენ: სალხენი ვაზი; ცხოვრებისა ხე ნაყოფიერი... რომლისა ძირში, ვით ნაკადული კლდისა პირიდგან, გადმოჩუხჩუხებს წმინდა წყაროი...

დღე მისი ლხენით და მოძრაობით ზეცაც ნათლდება და იღიმება... ხოლო ცის თვალი—ცეცხლთა მრფქვეველი—მზე ამოსული ცხოველთა სხივით, შიგ ჩახვეულა, ჩაკონებულა...

მის ნაკვალევში მტრედი დაგოგავს, ალერსიანად მას დაღუღუნებს... მის ხისა შტოზედ მჯდომარე შაშვიც სიამოვნებით მასვე დაჰგალობს... ხოლო მერცხალი, ყოველის მალხენი: აქებს, ადიდებს, მაზედ ჭიკჭიკობს...

ღამეა... მას ზეცა ლურჯად გადმოჰფენია... მაზედ დასცურავს მზისა ნაცვალი მთვარე ნათელი, მოქედილ ირგვლივ, ვარსკვლავებითა გაბრწყინებული...

გარს სიჩუმეა; შიგ სიმშვიდეა; წყნარად გაისმის ხმა ნეტარ სუნთქვის არე-მარისა...

და შიგ ბულბული, ვარდთა მორისა, ამღერებული: ბეთი მოგბილთა ავედრებს ღმერთსა... შეაკავ მიროს, დააგვირგვინოს ეს სიყვარული...

სსიყვარული...

სიყვარულია,—სამოთხე...

და, რომელს იგი არ განუცდია, მას ამა ქვეყნად არ უცხოვრია...

სიყვარული...

სიყვარული?!—ჯოჯოხეთია...

იგია ძმძვინ შემოღობილი... კარები მას აქვს ეკლით ჩაწნული... შიგაც დღე და ღამ ცეცხლი ანთია გაუქრობელი...

სხეული გეწვის... გული გედაგვის... სული გემდუღრის... მაინც შიგა ხარ, არც გამოსდიხარ...

ან, სად წაუხვალ... როდესაც თვით გრძნობ, რომ: იმითი ხარ... და უიმისოდ აქ არა-რა ხარ...

სიყვარული!..

სიყვარული... ხან სამოთხეა, ხან ჯოჯოხეთი...

და, რომელს იგი არ განუცდია, მას ამა ქვეყნად არ უცხოვრია...

ს. გლახაშვილი.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

ბულგარეთის მხრით

სოფია. ტყვედ წაყვანილი ოსმალოს ჯარის-კაცები რკინის გზებზე მუშაობენ.

სტამბოლი. დილის 5 ნახევარზე ჩათალჯის რაიონში ბრძოლა განახლდა.

სტამბოლი. ნაზიმ-ფაშა ტელეგრაფით იტყობინება: ბრძოლა დილით დაიწყოო. ბულგარელები რამდენჯერმე შეეცადნენ მარჯვენა ფრთის შუაგულში შეჭრილიყვნენ, მაგრამ ოსმალებმა ზარბაზნებით უკუ აგდეს. ბულგარეთის სამი ბატარეა განადგურებულია.

სერბიის მხრით.

ვენა. ბელგრადიდან „კორესპონდენტ-ბიუროს“ ატყობინებენ: სერბიელებმა მონასტერი აიღეს. 50.000 ოსმალო დაჰნებდა.

ბელგრადი. დაწვრილებითი ცნობები მონასტერთან მომხდარ პირველ ბრძოლისა: მორაფიის დივიზიამ დაიჭირა მონასტრიდან დასავლეთით მდებარე პოზიცია. ამით უნდოდათ გზა შეეკრათ ოსმალებისთვის. მიუხედავად საშინელი სროლისა, რაც სერბიელების მცირე რიცხოვან ჯარმა განიცადა, ღამე მაინც დაიჭირა ხელსაყრელი პოზიციები. ოსმალები თავგანწირვით, იბრძოდნენ. იმათ მხოლოდ ერთი გზალა ჰქონდათ გასაქცევი და ამ გზას იცავდნენ. ოსმალებს მოუკლეს მრავალი ჯარისკაცი და ოფიცერი.

უსკიუბი. პრესაში ცნობა იყო მოთავსებული, ვითომც კუმანოვის ბრძოლაში მონაწილეობდა მხოლოდ 1.500 გაწრთვნილი ჯარის-კაცი. ამის გამო პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტი იწერება, რომ ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულიაო. კუმანოვთან ბრძოლაში მოხალისეთა გარდა მონაწილეობდა 60.000 გაწვრთნილი ჯარის-კაცია კუმანოვში სერბიის ადმინისტრაცია ჩაყენებული, ხალხი სიამოვნებით მიეგება სერბიელებს.

საბერძნეთის მხრით.

ათინა. მეხუთე ბრიგადა, ფლორინისკენ რომ მიდიოდა შეეხვდა ოსმალეთის დიდ-ძალ ჯარს. ბერძნებმა ოსმალები აიძულეს უკან დაწეულიყვნენ. რაზმი ლადოხის მეთაურობით მონასტრისკენ მიდის.

ათინა. საბერძნეთის გემი ლემნოსიდან ნავთ-სადგურ დაფნში წავიდა 2 ნოემბერს. იქ ააფრიალა საბერძნეთის დროშა და ხმელეთის ჯარი გადმოსხა ნაპირზე. მონასტრებიდან ბერები ჯვარით მიეგებნენ ბერძნებს.

ჩერნოგორიის მხრით

ცეტინიე. გენერალ მარტინოვიჩის შტაბიდან იუწყებიან: ქალაქ ჯოვან-დი-მედუაში ჩერნოგორის დროშა ფრიალებსო. ოსმალები ალესიოსკენ ისწრაფვიან.

გაზეთებიდან.

ბულგარეთის მხრით.

ჩათალჯის ბრძოლა.

სოფიიდან იუწყებიან, რომ ჩათალჯასთან უკვე დაიწყო ბრძოლა, რომელიც ჯერ-ჯერობით ბულგართა სასარგებლოდ სწარმოებს. ოთხი სიმაგრე, რომელთაგან ორი ახლად აშენებულია და ძლიერაც არის შეიარაღებული, ბულგარელებმა, სასტიკ ბრძოლის შემდეგ, იერიშით აიღეს. რადგან ოსმალებს არტილერია არ ჰყოფნით, ციხის პირველ სანგრებში მრავალი ფუგასი ჩაუწყვიეთ.

სერბიისა და ჩერნოგორიის მხრით.

ადრიატის ზღვისკენ.

ღენ. მარტინოვიჩი ექვსი ბატალიონით მდ. ბოიანის გაღმა გავიდა და ოსმალთაგან შეუმჩნევლად მიაღწია სან-ჯიოვანის ნავთ-სადგურს, რის შემდეგაც იერიში მიიტანა ქალაქზე. სან-ჯიოვანში ოსმალთა ორი ბატალიონი სდგას.

ქ. სკუტარის ალყა.

სკუტარის წინააღმდეგ 1 ნოემბერს დაიწყო საერთო იერიში, რომელიც მთელ დღე და ღამეს გაგრძელდა, ზარბაზნისაგან ქალაქს რამდენიმე ადგილზე ცეცხლი გაუჩნდა. ცნობაა, სკუტარის მოქალაქეებმა დეპუტაცია გაუგზავნეს ციხის უფროსს და სთხოვეს: ქალაქი მტერს დაანებე, რადგან წინააღმდეგობის გაწევა სრულიად უმიზნოაო. უფროსს უთქვამს, სულთანმოლიდანაც რომ მიბრძანონ, მაშინაც კი არ დავანებებ ქალაქსო.

ქ. მონასტირთან.

მონასტირში მყოფ, ოსმალეთის ჯარის უფროს ზეკი-ფაშასთან მოლაპარაკება ჰქონდათ სერბიელებს გამართული ქალაქის დანებების შესახებ. ზეკი-ფაშამ იარაღის შენარჩუნება, ან ომის შემდეგ უკანვე დაბრუნება მოითხოვა, სერბიელები არ დასთანხმდნენ. მოლაპარაკება შესწყდა და დაიწყო ბრძოლა.

ქ. ფერიზოვიჩის განადგურება.

როდესაც სერბიის მესაძე ჯარის ნაწილი ქ. ფერიზოვიჩი შევიდა. არნაუტელებმა თეთრი დროშა გამოჰკიდეს და უბრძოლველად დახებდნენ სერბიელებს. ქალაქის მოლა პურ-ბარილითაც კი შეხვდა ჯარის უფროსს. ღამე, როდესაც სერბიის ჯარი დასაძინებლად დაბანაკდა, არნაუტელნი, უეცრად შემოერტყნენ მას და ასტეხეს სროლა: 40 სერბიელი ბოჭკლეს, 200 დასჭრეს, ამ დროს ქალაქს უახლოვდებოდა მორავის დივიზია, ოდესაც დივიზიის უფროსს, პოლკოვნიკ ნედიჩს მიუვიდა სერბიელების ღალატით ამოწყვეტის ამბავი, თავისი არტილერია ქალაქისკენ ბიმართა და სრულიად ძიწასთან გაასწორა იგი. ქალაქი და ბისი მცხოვრებნი ნანგრევებში დაიღუპნენ. ფერიზოვიჩი აღარ არსებობს.

საბერძნეთის მხრით.

ბერძნები დარდანელის ციხესთან.

გამართლდა ის ცხობა, რომ 15.000 ბერძენი ქსეროსის ყურეში გადავიდა გალიპოლის ნახევარ კუნძულზე, რათა დარდანელის ციხეს ზურგიდან მოუაროს.

ქ. მეცოვოს ალება.

ღენ. საპუნზაკისი იტყობინება, რომ რვა საათის სასტიკ ბრძოლის შემდეგ, ბერძენთა ჯარმა აიღო ქ. მეცოვო (ეპირში). ოსმალებს 50 კაცი მოუკლეს, ხოლო 100 ტყვედ წაიყვანეს.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

ბუხარესტი. მაკედონელთა და რუმინელთა კომიტეტის კრება მოხდა. ორატორები შიშობდნენ. ვაი თუ მაკედონიის რუმინელები ეროვნულად დაიჩაგვრნენ, თუ სკუტარის

ვილაიეტებს, სალონიკს და მონასტერს ბერძნები დამკვიდრდებიანო. გამოსთქვეს აზრი ევროპის სახელმწიფოთ წარედგინოს მემორანდუმი ალბანიის და მაკედონიის ავტონომიის თაობაზე.

ბუდაპეშტი. ავსტრიის დელეგაცია. გრაფ ბერტჰოლდმა კამათის დროს ვრცელი სიტყვა გამოსთქვა. ბერტჰოლდმა ჰსთქვა: ჩემი პოლიტიკის დამახასიათებელი თვისება არის ერთგულება მოკავშირე სახელმწიფოებისა და ავსტრია-ჰუნგრეთის ინტერესების დაცვა მშვიდობიანის გზით, რადგანაც ბალკანეთში მდგომარეობა შეიცვალაო, ამისთვის საჭიროა, განვიხილოდ თუ როგორ მოქმედებს ომის შედეგი ავსტრიის ინტერესებზეო. ბალკანეთის სახელმწიფონი ანგარიშს უწევენ მეზობელ მონარქიის ინტერესებსო. პორტის წინადადებას ზავის თაობაზე, ბერტჰოლდი სიამოვნებით შეჰხვდა. ბერტჰოლდმა აღნიშნა სრული თანხმობა იტალიისა და ავსტრია-ჰუნგრეთისა ალბანიის ავტონომიის საკითხში.

გაზეთებიდან.

სტამბოლში.

ოსმალეთიდან გემ „სინეუს“-ით სევასტოპოლს მისულნი ამბობენ, რომ სტამბოლში დიდი შიშიანობაა. ქრისტიანები ამოჟლეტის მოლოდინში გარბიან. ქალაქი ცალიერდება. ოსმალები ღვთის ანაბარად სტოვებენ ქონებასა და სახლ-კარს და მცირე ზომის ნაპირებზე იხიზნებიან. სტამბოლში ისმის ზარბაზნების განუწყვეტელი სროლა. გალათის უბანი ცეცხლის ალშია გახვეული.

ზავი და ოსმალეთი.

„აჟანს ოტომანი“ იუწყება: რადგან დიდი სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ ომში ჩარევის საკითხის გამო, ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა: პირდაპირ ბალკანეთის კავშირთან გამართოს ზავის შესახებ მოლაპარაკება.

ოსმალეთის პირობები.

ოსმალეთის მთავრობამ შეიმუშავა ზავის პირობების პროექტი, რომლითაც განზრახულია ტერიტორიის დათმობა, კრიტეს საკითხის საბერძნეთის სასარგებლოდ გადაწყვეტა, სრუტეების გახსნის საკითხი და ადრიატიკის ზღვაზე სერბიის მიერ ნავთსადგურის შეძენა, საბოლოოდ გადაწყვეტილებას ოსმალეთი ევროპის სახელმწიფოებს წარუდგენს.

დროებითი ზავი.

სტამბოლიდან იტყობინებიან: ბულგარეთმა უარი სთქვა დროებით ზავის ჩამოგდებაზე.

ავსტრია და სერბია.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ავსტრიას მთელი კავშირი ერთად და ერთის ფორმით გასცემს პასუხს მის მოთხოვნილებაზე, რომელიც სერბიას წარუდგინია.

სერბია არაფერს უთმობს ავსტრიას

„რეიხშპოსტს“ ბელგრადიდან ატყობინებენ: სერბია არაფერს არ შეუშინდება და ადრიატიკის ზღვაზე გავა. უამისოდ არავითარი შეთანხმება არ შეიძლება ავსტრიასთან. სანამ მდგომარეობა საბოლოოდ არ გამოირკვევა, მეფე პეტრე უსკიუბს დარჩება და, თუ საჭირო იქნება, სატახტო ქალაქსაც იქ გადაიტანენ, სერბიის მთავრობა განგებ დააგვიანებს პასუხს, რათა დრო მისცეს მემკვიდრის ჯარს ადრიატიკისკენ გასალაშქრებლად.

ავსტრიის საომარი სამზადისი.

პეტერბურგიდან იუწყებიან: ავსტრიამ 15.000 ჯარისკაცი მიიყვანა ბოსნიიდან სერბიის საზღვარზე. თუმცა ავსტრიის მთავრობა ასეთ ნაბიჯს ტეხნიკური მოსაზრებით ჰხსნის, მიგრამ პეტერბურგის დიპლომატურს წრეებში მის საქციელს ნიღაბის აფარებად სთვლიან. ევენვიდანაც ცნობაა, რომ ავსტრიის სათადარიგო აფიცრებს სამშობლოში დაბრუნება ებრძანათო.

ინგლისისა და რუსეთის აზრი.

ინგლისი და რუსეთი ალბანეთის ავტონომიის მომხრე არიან, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ სერბიას მიეცემა ადრიატიკის ზღვის ერთ-ერთი ნავთსადგური.

სხვა და სხვა ამბავი

იაპონიის მთავრობას დაუდგენია, გააუქმოს სახალხო განათლების სამინისტრო და უნივერსიტეტებს ავტონომია მიანიჭოს.

მეოთხე სათათბიროში ს.-დემოკრატიულ ფრაქციაში სულ 15 დეპუტატი ყოფილა. ლიდერებად აურჩევიათ კ. ჩხეიძე, სკობელევი და მალინოვსკი.

ქალაქის არჩევნები.

მოსკოვში ამ მოკლე ხანში ქალაქის თვით-მმართველობის არჩევნები მოხდება. ერთი ჯგუფი კანდიდატად ასახელებს პროფ. მაქსიმ მ. კოვალევსკის. კოვალევსკიმ თანხმობა განაცხადა. მისი კანდიდატურა უზრუნველ-ყოფილა, რადგანაც მოსკოვის ყველა პროგრესიულ ჯგუფში კოვალევსკის დიდი პიტივისცემა აქვს დამსახურებული.

სახელმწიფო სათათბიროს გახსნა.

მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს გახსნის უმაღლეს თავმჯდომარედ დანიშნული პირი. ის იქნება თავმჯდომარედ იმ დრომდე, სანამ სათათბიროთ თავის თავჯდომარეს არ აირჩევს.

ბუნინის იუბილე.

28 ივნისობისთვეს მოსკოვში გადაიხადეს ი. ბუნინის იუბილე. მიუვიდა აუარებელი მისალოცი დეპეშები ჭოროლენკოსგან, ლ. ანდრეევისგან, ბრიუსოვისაგან, მამინ-სიბირიაკისგან და გორკისაგან. სიტყვები წარმოსთქვეს ოვსიანიკო-კულიკოვსკიმ, საკულინმა და სხვებმა. დღესასწაულმა შუა ღამემდე გასტანა.

გაშავების გავლენა.

პეტერბურგში გაშავეს თვალსაჩინო ოქტომრისტი ლერხე. ლერხეზე გაშავებას ისე უმოქმედნია, რომ ავად გამხდარა.

საგენტოს ოინები.

საგენტომ ყალბი ცნობები გავრცელა ამა თუ იმ დეპუტატის პარტიულ ვინაობის თაობაზე. როგორც ეხლა ირკვევა, დეპუტატები, მემარჯვენეთა სიაში რომ არიან მოყოლილნი, პროგრესისტებს, კადეტებს და ხან მემარცხენეებსაც კი ეკუთვნიან. თავრიდის სასახლეში მისულა ოფიციალად გამოცხადებული 50 მემარჯვენე, ნამდვილად კი მემარჯვენეები ამათგან მხოლოდ 20 ყოფილა.

მძარცველთა ბრბო ნადეპუტატარის მეთაურობით.

ამ დღეებში გრაფ. სტროგანოვის სახლი გაძარცვეს, წაიღეს 10,000 მანეთი. ყაჩაღთა ბრბო შეიპყრეს. როგორც გამოირკვა, ბრბოს მეთაურად იყო მეორე სათათბიროს ნადეპუტატარი შრომის ჯგუფელი კუზნეცოვი. ეს კუზნეცოვი შრომის ჯგუფს ადრევე გამოუცხადა თავის წრიდან.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე.

გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე აკიმოვი, ავადმყოფობის გამო, თანამდებობაზე თავს ანებებს. მის ნაცვლად ასახელებენ იუსტიციის მინისტრს, შენგლოვიტოვს და შინაურ საქმეთა მინისტრს მაკაროვს,

სტუდენტების დატუსაღება.

სამთო ინსტიტუტის სტუდენტები ლექციებზე არ დაიარებიან. სტუდენტების ბინაზე ჩხრეკაა. რამდენიმე შეიპყრეს.

არჩევნების მსხვერპლი.

ხერსონის გიმნაზიიდან დაითხოვეს კანონმდებლობის მასწავლებელი მელნიკოვი, რომელიც მემარცხენე პარტიამ ამომრჩეველთა კანდიდატად დაასახელა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

6 ნოემბერი

კანალეხასის მოკვლის გამო.

მადრიდი. კანალეხასის მოკვლის გამო პროვინციებში იმართება საპროტესტო მიტინგები. უკმაყოფილონი არან ანარქისტების მოქმედებისა.

საზოგადო სამმართველოს დათხოვნა.

ზარა. ქალაქ სპლეტის და შიბანიკის საზოგადო სამართველო დაითხოვეს. ამ ამბავმა საშინლად აღელვა სამხრეთელი სლავიანები. ქალაქის მოურავები თანამდებობას თავს არ ანებებენ, რადგანაც განკარგულება უკანონოდ მიაჩნიათ.

ვენა. „ნეუ-ფრეი-პრესეს“ აზრით საზოგადო სამართველოს დათხოვნა გამოიწვია ქალაქებში მომხდარმა დემონსტრაციამ.

ვენა. „კორესპოდენტ-ბიურო“ ჩერნოვიციდან ატყობინებენ: უკრაინელმა სტუდენტებმა, რიცხვით 30, ქვებით ჩაამტვრია რუსეთის საელჩოს შენობის ფანჯრები. მიღებულია სასტიკი ზომები წესიერების აღსადგენად. არეულობის მოთავენი დაატუსაღეს.

ვენა. „კორესპოდენტ-ბიუროს“ ლვოვიდან ატყობინებენ: უკრიანელ სტუდენტებმა და გიმნაზიელებმა დემონსტრაცია მოახდინეს რუს სტუდენტთა სათვისტომოების წინააღმდეგ. პოლიციამ დემონსტრანტები გაჰფანტა.

რუსეთი

მიტროპოლიტის დაკრძალვა.

პეტერბურგი. ლავრაში მიწას მიაბარეს მიტროპოლიტი ანტონის გვამი. დაესწრო მთელი სამღვდელოება კიევის და მოსკოვის მიტროპოლიტების მეთაურობით დაკრძალვას დაესწრნენ მინისტრები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სინოდის წინანდელი და ეხლანდელი პროკურორები და სხვა წარჩინებულნი.

სიკვდილის განაჩენი.

ეკატერინოდარი. სამხედრო სასამართლომ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა ექვს კაცს, რომელთაც ჰბრალდებათ ინჟენერ სამსონოვზე შეიარაღებული თავდასხმა და 11.000 მანეთის გატაცება.

წერილი რედ. მიმართ

ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ თითო მანეთი შემოსწირეს:

თ-დმა გ. დ. ვეზირიშვილმა, ს. მ. მეძმარიაშვილმა, პ. ა. მირაქოვმა, ეკატერ. ვას. ბაბანასოვისამ, პ. გ. მოსეშვილმა, გრ. სტ. მალინოვმა, სერ. მენ. ჩაჩიბაიამ, ირ. ალ. გუნცაძემ, ვას. გრ. ედილაშვილმა, ალ. გ. ჯაბადარმა, ილ. გ. ქრისტოფოროვმა, პლ. ალ. სულაქველიძემ, ივ. არ. ახვერდოვმა, თედ. იოს. მერაბიშვილმა, არ. ალ. აგრიეევმა, სტ. ივ. ევანგულოვმა, ანდ. სოლ. ღულაძემ, სერ. სუკ. ურუშაძემ, ქეთევან ზაქ. ისარლიშვილმა. ხოლო იოანე გორგ. კუნდუხოვმა—5 მანათი.

სასადილოს გამგეობა მადლობას სწირავს შემომწირველთ.

ბატონო რედქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო სოფ. იყალთოს (თელავის მაზრა) მცხოვრებს თ-დ დიმიტრი ივანეს ძეს მაყაშვილს, რომელმაც კეთილ ინება და დახმარება აღმომიჩინა უმაღლეს სწავლის მიღებისათვის.

პატივისცემით **სტ. თ. ჩანგაშვილი.**

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ასკანის სავაჭო და საქალებო ორ-კლასიან სკოლის საპატიო მზრუნველს ბ. სოლომონ ალექსანდრეს ძე მეჟეშვილს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა აღნიშნულ სკოლებს 1911—12 სამოსწავლო წლის განმავლობაში ას-სამოც-და-ორი მანეთი და 60 კაპ. ნივთებით თუ ფულად.

სია შემომწირველთა: 1) ორივე სკოლებისათვის „ტეხნიკური გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა სამოსწავლო მთავრობასთან წარსადგენად 75 მ. (აღნიშნულ გეგმის, ხარჯთ-აღრიცხვის, საზოგადოების დადგენილების და სხვა საჭირო ქაღალდების წარდგენით სკოლებმა მიიღო ხაზინიდან შემწეობად 1800 მანეთი.

2) ორივე სკოლას უწერს 1 წლით საბავშო ჟურნალ „ნაკადულს“, რუსულ ჟურნალ „Вѣстникъ Знанія“-ს და სატახტო გაზეთ „Современное Слово“-ს სულ 25 მ.

3) სავაჭო სკოლისათვის ზარი 20 მ.

4) სამოსწავლო წლის ბოლოს დაურიგდა თითოეულ განყოფილების საუკეთესო მოსწავლეებს საჩუქრად ს. ჭეიშვილისაგან 17 მ. და 60 კაპ. წიგნები.

5) ფულად 10 მ.

6) სკოლის საქმეზე ბათუმში წასულებს გზის ფულად 12 მ.

7) ბუხრის შეკეთებაში 3 მ.

სულ 162 მან. და 60 კ.

სავაჭო სკოლის გამგე **მიხაკო შარაშიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსაღეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 7 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **სა-ფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. № № 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8¡7, შუ-ღღ 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4¡3, ღამ. 1 ს. 11 წ. **ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6¡5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 83¡7, საღ. 5 ს. 28 წ. **ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვ. დან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ .საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **საბ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და **ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 II, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 II, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 II, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 II. საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 II, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 II, ნაშ. 6 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და I—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლების №№ 5 და 6. 1 და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი 1/II კლასისა, ერთიც მესამე კლასი ა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ,** ერთი ვაგონი 1/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“

საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **სატფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.

№ 2. **პარასკეობ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.

№ 1. **სახ.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.

№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.

№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.

№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.

№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“

საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.

ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას. ხუთშ ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის:

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

ენზელიდან ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.

ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

სასანიტარო მქიმეები

უბნები: 1, 2—9 **ბ. ფომინა-ოსიპოვიჩა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქაბანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი **გ** განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თოთიოხიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ბერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭმელ შემთხვევებისა, როცა დამარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბგასაროვი: 1—2 ს. მინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შიგაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. მინ. ანი ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-ფელ ქიანი**, 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ. რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციე მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე სომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში, ასევე ზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამე ჩიანი. იღებენ დედათა ავადმყოფოებით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა დ. ეხმახლეებს ყოველ დღე, დილის 1—2 ს. (ფ). მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **ზ. გ. მიკირტუმოვი.** 1037.

ოქროს საათი ხრონომეტრი 56 პროგრესა.

ოქროს საათის ადგილს, რომელიც 200 მ. მაგიერ 4 მ. 70 კ. ღირს, გიჩვენთ **ხრონომეტრს**, რომელიც ოყვანილობითა და მოხდენილობით ოქროს საათს არ ჩამოუვარდება, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტიც კი ძნელად გაარჩევს ხამდგ ლ ოქროში. საათი ბატყელია სისქით ვერცხლის მანეთიანის ოდენა. ნამდვილ ამერიკულ ახალ ოქროსი, თავის დდეში არა ჰკარგავს თავის პირვანდელ სახეს შტამპ. და ოქრგ. სურათ. (იხ. სურათ). საათი **ხრონომეტრი** კი კაცებისა თუ ქალებისა მუდამ სწორედ დადის. ნამდვილი ანკერია 15 ქვიანი და 40 საათი ერთხელ იმართება. ,,ემის ფირმის გა ავრცელებლად ყოველ საათს ს ჩუქრად ვატან 20 ღირებულ ნივთს: 1, ნამ ,ვილ ამერიკ. **ოქროს** ძეწკვ', ', ბრელოკს კიხეტატოგრაფ. 3 მშვ ნიერ ქალის სახით, 3, ზამშის ტყავ. საათის ბუდეს, 4. ,ეურდებისაგან საათის უზრუნველმყოფელს, 5—8 ჯიბის ნესერ, ტყავისას 4 აუცილ. ხაჭირო ნივთით, 9. საზღვარ-გარეთის ნაკეთებ 7 განყოფილებიან საფულეს, 10 შემ ვეთელის სახელ-გვარიან შტემპელს, 11. შტემპელისათვის საღებავი, 12. დ.ბეჭდ. ბეჭედს ნამდ. ამერ. **დუბლესას**, 13, პარიზის პლასტოგ. ყოველ-გვარ სანახაობის ნამდ ილად მ.ჩვენებელ., 14—19 ამ პლასტოგ 6 მეტ დ საგ.ლისხმო სურათი, 20. სათეატრო ბინოკლი 4 ანრომ ჩვეულებრივ ზომის შუშით, რომელიც შორის მანძილიდან ძალიან ახლოვებს სანახაობას. ყველა ეს ძხოლოდ 4 მ. 70 კ. 2 საათი—9 მ. 30 კ. ა ეთივე სახურავებიანი 5 მ. 50 კ. 2 ასეთი საათი—11 მ. 20 კ. ექვსს წლის თავდებებით. ვგზავნით ფასდადებით და უ ეოდ. გასაგზ ვნი—40 კ., ციმბირში—75 კ.

მისამართი: Складъ часовъ И. Штрумфельдъ, Варшава, Электоральная, 11, отд. 35.

Метцль. 57910. 1577

ცინკოგრაფია

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ

კლიშეების დამზადებას.

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჭოროჭაძის თხზულებანი

I ტ	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“	ფასი	„	„	„	75	კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა	„	„	„	„	80	„
III „	„ნააზრევი“	„	„	„	„	65	„
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ.				„	85	„

მიგიღეთ საუკეთესო გემოს მარკვლოვანი,

ქვირითის (ქავიარ.) ზიზილალა,

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

1131

გამოსულია

ციხოვანი

ეროვნულ ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი კერძო

სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება

კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბგასაროვი: 1—2 ს. მინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შიგაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. მინ. ანი ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-ფელ ქიანი**, 1—2 ს. საბებიო. დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ. რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციე მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ოქროს საათი ხრონომეტრი 56 პროგრესა.

ოქროს საათის ადგილს, რომელიც 200 მ. მაგიერ 4 მ. 70 კ. ღირს, გიჩვენთ **ხრონომეტრს**, რომელიც ოყვანილობითა და მოხდენილობით ოქროს საათს არ ჩამოუვარდება, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტიც კი ძნელად გაარჩევს ხამდგ ლ ოქროში. საათი ბატყელია სისქით ვერცხლის მანეთიანის ოდენა. ნამდვილ ამერიკულ ახალ ოქროსი, თავის დდეში არა ჰკარგავს თავის პირვანდელ სახეს შტამპ. და ოქრგ. სურათ. (იხ. სურათ). საათი **ხრონომეტრი** კი კაცებისა თუ ქალებისა მუდამ სწორედ დადის. ნამდვილი ანკერია 15 ქვიანი და 40 საათი ერთხელ იმართება.